№ 216. 16 ოკტომბერი, პარასკევი. 1866—1881 16 ოკტომბერი, პარასკევი. № 216.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროების-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივი ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

## ბბ. მუშტართ ჩვენი ფირმის ჩაისა

უმორჩილესად ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლებზე

ასოთ ა ყ ს ძმანი ა. ყ ს. პაპოვები

(20—11) სავაჭრო სახლი მოსკოვში.

თბილისის თეატრი

შაბათს, 17 ოკტომბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

დაქცეული ოჯახი

დრამა 3 მოქმედებად, რუსულიდამ, კერესელიძისა.

II

საქალებო ვაგონი

ვოდევილი 1 მოქმედებ., რუსულიდამ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. დასაწყისი 8 საათზე.

## ტელეგრამმები

(„საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 14 ოკტომბერს. გაზეთს „პორიადოკში“ დაბეჭდილია: გრაფ ლორის-მელიქოვი, ექიმების რჩევით, წელს ზამთარში პეტერბურღში არ იცხოვრებს. ამბობენ, რომ შტაბის უფროსი ღენ. ობრუჩევი დასავლეთ ციმბირის ღენერალ-გუბერნატორად ინიშნებაო.

ექსპერტებმა 13 ოკტომბერს გადაწყვიტეს, რომ სასმელების ვაჭრობაში ერთხელვე გამოკვლეული და დადგენილი წესი და რიგი უნდა იყოს, ეს ვაჭრობა ერობას უნდა ექვემდებარებოდესო.

კასსაციის დეპარტამენტმა კაშევაროვის ქალის საჩივარზედ გადაწყვიტა: სასამართლოს გარდაწყვეტილება ბურენინის შესახებ მოისპოს, ფლოდოროვისა და ბატალინის შესახებ-კი დამტკიცდეს.

ლონდონი, 13 ოკტომბ. ავღანის ემირმა, სამჯერ გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ, აიღო გერატი.

## საგულისხმოდ*)

...და ვერ გეტყვი რაც იგი მე გულს დამთა
და მით გიტანჯავ.

გრ. ორბელიანი.

საზოგადოდ კაცობრიობის ცხოვრება და ყოველივე ერის კერძოდ, ცხვათა შორის, არის ბრძოლა არსებობისათვის. ერთი ძლიერი იარაღთაგანი ამ ბრძოლისა ამჟამად გახლავსთ პოლიტიკა, რომლის მეოხებით უკანონოს ხშირად სჯობნის სამართლიანობას და ვერაგობა ქედს აჩრევინებს სათნოებასა. პოლიტიკა ჰგმობს სულ-გრძელებას, უარ-ჰყოფს ყოველგვარს შებრალებას; მასთან არ გადის ხათრი და თავაზი; გულ-წრფელობა და კეთილი გული მისს წინაშე ყოველთვის დამღუპველი ყოფილა და ეხლაც არის.

უძლიერესი ძალა ამ შემთხვევაში არის განათლება, და სახალხო განათლება უპირატესად. იმ სახელმწიფოში, სადაც განათლება გავრცელებულია დაბალ წოდების ხალხშიაც და, სწავლების რიგიანი სისტემის წყალობით, საყოველთაო თვისებად გადაქცეულა თვით-მოქმედება ეგ საიმედო სახსარი არსებობისათვის ბრძოლაში — იქ ერი ძლიერად ჰგრძნობს თავის ეროვნულს თვითებას (ინდივიდუალობას), იქ ყოველი მოქალაქე დარაჯი და მცველია ეროვნულის თავისუფლებისა და პატივისა, და ქომაგია პროგრესსიული წარმატებისა....

ამიტომაც ყველა მამულის-შვილთა წადილი და შრომა ის უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება მალე და ბეჯითად დაეწაფონ, საკუთარ ეროვნულს სასწავლებელთა საშუალებით, განათლების წყაროს, — ამ სათავეს დამოუკიდებელი ცხოვრებისას, შრომისას და თავისუფლებისას....

იტალიის და საბერძნეთის ახალი ისტორია ცხადათ გვიმტკიცებს ზემოთქმულის ჭეშმარიტებას....

ღირსეულს ჩეხის ერს ავსტრიის მფლობელობაში შესვლის შემდეგ დიდ-ხანს **დედა-მიწის პირიდამ გასაქრობელ ხალხად სთვლიდენ**, სანამ ამ ქვეყნის მამულის შვილებმა საოცარის სიმხნით არ მიჰმართეს ისტორიას, მისს შემუშავებას და განათლების გავრცელებას. მათმა ყოვლად საქებმა ღვაწლმა ის ნაყოფი მოიტანა, რომ დღეს თვით ავსტრიის ბიუროკრატიულის მმართებლობისაგან აღიარებულია, რომ **ჩეხები სრულიად მომაკვდავნი არ არიან, რომ იმათ იგივე უფლება აქვსთ ცხოვრებისათვის, რაც ყოველს სხვა ისტორიულს და ღირსეულს ერს...**

ჭ.

*) რედაქციის დამოუკიდებელის მიზეზისა გამო ეს სტატია ისე ვერ იბეჭდება როგორც გვინდოდა. რედ.

## დავით ჩუბინაშვილის ბანკეტი ქუთაისში.

წასრულ კვირას, 11 ოკტომბერს, ქუთაისის საზოგადოებამ გაუმართა სადილი პატივცემულ დ. ი. ჩუბინაშვილს, რომელიც რამდენიმე დღით იყო წასული ქუთაისს. სადილი იყო გამართული სააზნაურო ბანკის დიდ ზალაში. მოწვეული იყო სამოცი, თუ სამოც-და-ათი კაცი. იყვნენ, სხვა-

---

«დროების» ფელეტონი, 16 ოკტომ.

## ელგუჯა *)

(მოთხრობა)

ის გახლდათ ლამაზი ჩერქეზის ქალი, ელგუჯას სატრფო, რომელიც მათიას უნებურათ სოლსავით ჩაჯდომოდა გულში.

პირველში მათიას ეგონა, რომ ეს სიყვარული იყო და-ძმური, რომელიც დაბადებულიყო ელგუჯას მდგომარეობის თანაგრძნობით; მაგრამ რამდენიც ხანი გადიოდა, რამდენსაც მეტს აკვირდებოდა ამ საქმეს და ცდილობდა თავიდამ მოეშორებინა მზალეეს სახე, იმდენად ის უფრო ცოცხლად ეხატებოდა გონებაში. იმას უნებურად სწყუროდა მზალევსთან განუშორებლად ყოფნა, იმის ყურება, იმის ალერსი.

უბრალოდ არწმუნებდა მათია თავის თავს რომ ის მაცდურმა შეიპყრო, რომელმაც უნდა ალალატებინოს ძმობას, მეგობრობას და წესსა; უბრალოდ ცდილობდა შეეყენებინა თავისი გრძნობა, რომელსაც დღითი-დღე ემატებოდა ცეცხლი და უმეტესად ადუღებდა იმის სისხლს. ყოველ ამ გვარ ძალდატანების შემდეგ თავის-თავზედ, დაუმორჩილებელი გრძნობა უმეტესის ძალით იბადებოდა, უმეტესის ძალით გამოიჩენდა თავს.

ამ რამდენიმე დღეში, მხიარული, მოცინარი, უზრუნველი მათია შეიქნა დაფიქრებული, დაღონებული. იმისმა უმაწვილობის, კარგა მყოფობის დამამტკიცებელმა ფერმა, დაჰკარგა თავის სიწითლე და შეიცვალა რაღაცა ავათმყოფ ფერად.

მეზობლები უყურებდნენ მათიას, უკვირდათ იმისი ცვლილება და ვერ მიმხვდარიყვნენ ამის მიზეზს. როდესაც მათიას ვინმე დაელაპარაკებოდა ამ საგანზედ, ის პასუხის მაგიერად ამოიოხრებდა, გააკეთებდა ყალიონს და ძალზედ წევას დაუწყებდა. და თუ ვინმე მოახერხებდა ელაპარაკებინა, მაშინ ის პირ-და-პირ პასუხს მაინც არ აძლევდა, ლაპარაკს სხვა საგანზედ გადაიტანდა, თითქოს ეშინოდა თავის გრძნობის ვისთანმე გაწილადებისა.

მათია ჯერ კიდევ დაფიქრებული იდგა, როდესაც ერთი კაცი გამოჩნდა მოპირ-და-პირე მთის წვერზედ და ხტუნა-ხტუნაობით დაეშვა თავ-ქვე. როგორც ეტყობოდა, ისიც მთიული უნდა ყოფილიყო და მწყემსი. იმას უეჭველია, შეემჩნია მათია და ამისათვის პირ-და-პირ იმისაკენ დაეჭირა გზა.

როდესაც მოახლოვდა იმ ადგილს, სადაც მათია იყო, ის გაშტერდა და გაკვირვებით დაუწყო ყურება მათიას და იმისაგან დაშორებულს ცხვარს, რომელიც, დაფანტული, ტყეში შესულიყო და პატრონი კი დაფიქრებული თავისათვის იდგა. მწყემსის ამ გვარმა უყურადღებობამ, ახლად მოსული იქამდინ აღელვა, გააჯავრა, რომ გულმა ველარ მოუთმინა და შესძახა:

— მათიავ! ჰა, მათიავ!

მათია შეკრთა, ჩამოისო პირზედ ხელი და მიიხედ-მოიხედა. აშკარად ეტყობოდა, რომ ის ინსტიქტიურად მოქმედებდა.

— რაი მოგსვლია, მათიავ!... ცხორი დაიღუპა! აგერ ტყეში შესულა.

— რა უყო, ჩაფიქრებით წარმოსთქვა იმან.

ამ დროს ახალ-მოსული მიუახლოვდა მათიას და შეტევით უთხრა:

— რას ჩადი, ცხორი გაგპარვია, არ გესმის?

— აბა, რა ცხორი? — საით წავიდა, წამოიძახა მათიამ და რა თვალი შეჰკრა ტყეში შემავალს ცხვარს, მაშინვე გაიქცა იმათკენ.

ახალ მოსული მწყემსი გაშტერებული დარჩა, მერმე წამოიძახა: — თუ გაგიჟდა! და ისიც უკან გამოუდგა, რათა ეშველა მათიასთვის, ტყიდგან ცხვრების გამორეკა.

როდესაც ორნივე გამოვიდნენ და ცხვრებიც გამოიყვანეს ტყიდგან, მხოლოდ მაშინ იცნო მათიამ ახალ მოსული, რომელიც იმათი მწყემსი იყო და ხარანაულებისას გაეგზავნათ.

— მოხვედი მშვიდობით, ივანე! მიესალმა მათია.

— მოგცეს მშვიდობა ღმერთმა! იყო პასუხი.

— რასა იქს ელგუჯაი?...

— კარგათაა.

— ექიმი დააყენეს?

— ეგეთი ექიმი დააყენეს, ღმერთის მადლმა, რომ თემობაში ბადალი არა ჰყავს.

— რას ამბობს, ჩქარა მორჩება?

*) იხ. „დროება“ № 213.

თა შორის: მაზრის მარშალი თ. ა. ნიჟარაძე, ქალაქის თავი ლ. ასათიანი, თ.თ. გიორგი შარვაშიძე, მამია გურიელი და სხვ.

საათის სამზე, როცა ბატ. ჩუბინაშვილი მობრძანდა ბანკში, იმას გამოეგებნენ საპატიო პირნი, რომელთ შორის იყვნენ: ბატ. მაზრის მარშალი, ქალაქის თავი და ნ. გ. ღოღობერიძე, ამ სადილის მოთავე. ირრეგულიარული პოლკის მუზიკა ბალკონზე იდგა და როცა ბ. ჩუბინაშვილი შევიდა ბანკის შენობაში, დაიწყო სხვა-და-სხვა პიესების დაკვრა.

სადილზე ჯერ დალიეს ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო, შემდეგ დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძისა და თ. ლ. ი. მელიქიშვილისა. მერე მაზრის მარშალმა დალია ბ. ჩუბინაშვილის სადღეგრძელო, რომელიც მოსადილეთა დიდის „ურა“-თი და ტაშის-კვრით მიიღეს. ბ. ჩუბინაშვილმა მადლი მოახსენა და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„პატივცემულნო
საქართველოს შვილნო!

„სამუდამო ჩემი სურვილი იყო, რომ შემემუშავებინა რაც ძალი და ღონე მედო დასაწყისნი კანონები ღრამატიკისა და შემდეგნა, რამდენათაც შესაძლებელი იყო, სრული ლექსიკონები რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. ეს ჩემი სურვილი აღვასრულე და ჩემი სუსტი შრომა ეხლა თქვენ წინ გიძევსთ.

„ჩვენი ენა დიდი ხანია დამყარებულია და გამშვენიერებული, როგორც ეს თითოეულმა თქვენგანმა იცის დიდ-მშვენიერისა მწერლებისაგან. ჩვენთვის არის საჭირო არა გამოცვლა ღრამატიკის კანონებისა, რომლებიც ძველთაგან არის მიღებული, არამედ, შეთვისება ახალთა იდეათა და მათ გამოსათქმელ საჭირო სიტყვათა.

„რადგანაც საფუძველი დადებულია ჩვენის დიდ მშვენიერის ენისა, ეხლა ჩემი წადილი ეს არის, რომ ამ საფუძველზე აშენდეს და გავრცელდეს ჩვენი ქართული მწერლობა. ამისთვის გთხოვთ, იმ მუშაკთა სადღეგრძელო დალიოთ, რომელნიც ამის წალმართ თავს იდებენ და შეიმუშავებენ ჩვენს მწერლობას!“

პასუხად ჩუბინაშვილისა სადილზე წარმოსთქვეს სიტყვა: ა. ნიჟარაძემ, თ. დ. ლეონიძემ, გ. ტერ-სტეფანოვმა, ი. ფხაკაძემ, ა. ფიფინაშვილმა, ი. მესხმა, ზაალ ჭავჭავაძემ, ს. წერეთელმა, ი. მეუნარგიამ და გიორგი შარვაშიძემ.

საზოგადოების თხოვნით, როცა შამპანსკი ჩამოარიგეს ბ. მაზრის მარშალმა დაადვა თავზე ბ. ჩუბინაშვილს ყვავილებისა და დაფნის გვირგვინი.

სადილობის დროსვე მოართვეს ბ. ჩუბინაშვილს ქუთაისის გიმნაზიის შეგირდებისაგან გამოგზავნილი ადრესი: აი ეს ადრესიც:

„უპატივცემულესო ქართველთა მეცნიერო, ბატონო დავით!

„ჩვენ მოწაფენი უბედნიერესად ვრაცხთ ჩვენს თავს, რომ ვეღირსეთ თქვენს აქ, ჩვენს ქალაქში ჩამობრძანებას.

„თქვენი ღვაწლი, რომელიც დასდევით ჩვენს სამშობლოს შეიქნა ურყეველ დედა-ბოძათ ჩვენის ლიტერატურისა და მეცნიერებისათვის და გვაძლევს ნათელს მაგალითს რა შეუძლია სამშობლოს სიყვარულს, რომელიც გაღვიძებულია თქვენის მაგალითით გამხნევებულს მოსწავლე დგმშიაც.

„ჩვენ უგულითადესად ვთხოვთ ყოვლად-შემძლებელს განაგრძოს მრავალ ჟამიერ თქვენი სიცოცხლე კეთილ-დღეობით და მიგახწევინოსთ თქვენის უმთავრესის მიზნისადმი, რომელიც, სრულიად დარწმუნებული ვართ, არის საკეთილდღეო თქვენის სამშობლოსათვის.

„თქვენი თანამგრძნობელნი და პატივისმცემელნი მოწაფენი“. W.

## ახალი ამბები.

უმაღლესის მთავრობის გარდაწყვეტილებით, ქაბისაკენ სალოცავად მიმავალ მაჰმადიანებს აღარ აძლევენ ბილეთებს, რადგან იქითკენ ჟამი გაჩენილა და ამ ავათმყოფობის რუსეთში შემოტანა ეშინიანთ.

* * *

თფილისის სასამართლო უწყებაში ბევრი ლაპარაკია იმის თაობაზედ, თავს-მჯდომარეთაგანი თფ. ოლქის რომ ერთი სასამართლოისა ბ. ბარბოვსკი, თფ. სასამართლო პალატის თავს-მჯდომარე — ბ. უგალინთან უკმაყოფილობის გამო, იძულებული შექნილა, რომ ჰსავის თანამდებობა მიეტოვებინა. ბ. ბარბოვსკი საუკეთესო მოსამართლედ, კანონების ზედმიწევნით მცოდნედ და პატიოსან კაცად ითვლებოდა მთელს ჩვენს სასამართლო უწყებაში და ამიტომ იმის სასამართლოდამ გამოსვლა, უეჭველია, დააკლდება ჩვენს მმართლმსაჯულებას.

* * *

ამ კვირასა და მომავალ კვირის ორშაბათს, ე. ი. 18-სა და 19-ს დიდუბეში იქნება დოღი (ცხენის მარულა).

* * *

ფოთი-თფილისის რკინის გზის ხარაგაულის სტანციიდამ გვწერენ, რომ ამ სტანტიასთან რომ მდ. ჩხერიმელა ჩამოდის, ამ მდინარის გაღმა დუქნები არის გამართული. მედუქნეს გაუმართავს მდინარეზე ხიდი და ყველას, ვინც ამ ხიდზე ბარგით გადის-გამოდის, თითო შაურს ქირას ახდევინებსო. ამას წინათ ერთი ვილაც აზნაური გაულახავთ ამ მედუქნეებს, რადგან იმას არ მიუცია იმათთვის ეს ქირა.

* * *

ქუთაისის მაზრის სოფ. საწირედამ გვწერენ.

„ამ სოფელში გახლავსთ მადნეულის აბანო ძლიერ მარგებელი ზოგიერთ ავათმყოფებისათვის და მრავალი ხალხი დაიარება სოფლებიდგან და ქუთაისიდგანაც.

„ამ ჟამად გვესტუმრა აქ ერთი ქუთათური ურიი მოხუცებული დედაკაცი, რომელიც ყოფილა განთქმული მარჩიელი; თან ზანაობს და თან მკითხაობს. ისე დაესივნენ მუშტრები მკითხავს, როგორც თაფლს ბუზი. აივსო ქათმებით, ღომით, ყურძნით და სხვ. ყოველ დღე დასაპანებულს

---

— ორ-სამ კვირაზედ ფეხზედ წამოვაყენებო.

— ღმერთმა ქნას, გისმინოს ღომისამ! ჩემთან ხომ არ დაგაბარა-რა? ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მათიამ.

— აბა შენთანაც, რო არა დაებარებინა-რა, მაშ ვისთან-ღა დაებარებდა?... დღე ერთია და შენი გონება ათასი...— უთხარი მათიასო, რომ ჩქარა შემატყობინოს თავისი ამბავი.... მნახოსო.

— ვნახამ, ვნახამ! რაღაცა მწუხარებით წარმოსთქვა მათიამ.

— შენი ძმობის იმედი მაქვს, რომ რაიც სიტყვა უთხარი, ისე აასრულებო.

— ჰაი, ჰაი, რომ ავასრულებ! მაშ არ ავასრულებ? იმის სიტყვა გაუტეხელი ბეჭედია ჩემთვის! რაღაცა გამაგებით წარმოსთქვა მათიამ და მერე დაუმატა: — შენ ამ ცხორ მიხედე დაღალული იქნები, კიდეც დაისვენებ და ცხორსაც უყურებ; მე-კი სხვაგან საქმე მაქვს და იქ წავალ. ჯალაბობაში თუ მიკითხეს, უთხარ, მატყლის ვაჭრები მოვიდნენ-თქო და იმათ გავყვა ქვეშესა-თქო.

— აგრე, შენი კვნესამე.

— ცხორი წყალზედ ჩააბრუნე, იქ უფრო გრილია, დეეყრება რიყეზედ.

ამ სიტყვების შემდეგ, ჩოხის კალთები ჩაიკეცა ქამარში, გადიკიდა თოფი მხარზედ და გასწია ქვეშეთისაკენ.

ის მიდიოდა ჩქარა, გაქანებული, მაგრამ ჩქარა მისვლის სურვილი თითქოს გზას უგძელებდა და მოუთმენლად წამოიძახებდა: „ალარ გათავდა ეს ბაითალმანი!“ მზე რომ გადაიწვერა, იმან მიაღწია ქვეშეს და რადგანაც ცოტა ადრე იყო და არ უნდოდა ვისმე შეხვედროდა, ამისათვის ის დაიმალა იქვე ტყეში და გულის ძგერით მოელოდა იმ წუთს, როდესაც სანატრელს მზალვეს დაინახავდა.

თუმცა ერთი რამ აშინებდა მათიას, და ეს ის იყო, რომ დანიშნული სანახავად დღე შაბათი იყო და ის-კი მოსულიყო პარასკევს. რასაკვირველია, ეს შიში მიემატა იმის მოუთმენელს მოლოდინს, და სატანჯველი ერთი-ორად გაუცხარდა.

— რომ არ მოვიდეს, მთელი ღამე აქ უნდა გავშეშდე! წამოიძახებდა თავისთვის და მერე ისევ დაუმატებდა: — ღმისა მოწყალეა, ის ჩააგონებს და გამოვა.

გაიარა საათმა, ორმა, მაგრამ თითქოს განგებ არხეინად სჩნდა. ყოველ წუთის გავლაზედ იმას მოთმინება ეკარგებოდა და მომეტებულად იჩენდა შეყვარებული კაცის ნიშნებს, იმედ გარდაწყვეტილებით. და იმედს.

ბოლოს ეს იმედიც დაჰკარგა და მზათ იყო პირ-და-პირ წასულიყო სვიმონის სახლში, სადაც მზალვე იყო, თუმცა აშკარათა ხედავდა გარს შემორტყმულს დარაჯებს, რომლებიც ყოველ ღამე უყენებდნენ ნაჩალნიკის სადგურს.

ის-იყო ფეხი გადმოდგა იქ მისასვლელად, როდესაც დაინახა იმისკენ მიმავალი ორი ქალის სურათი, რომელთაც დააშლევინეს მოუფიქრებელი გადაწყვეტილების აღსრულება. იმათ დანახვამ მათიას სული გააკმენდინა და გულის ძგერა შეუყენა. ის მოეფარა ხეს და ცოტახანს ძგერისაგან შეყენებულმა გულმა ხელ-ახლად დაუწყო მოუთმენლად ძგერა და სუნთქვა გაუხშირდა; კანკალმა აიტანა, როგორც ციებით ავათმყოფი, და მზა იყო გადავარდნილიყო, მოეხვია ძლიერი ხელები მზალვესათვის და დაეკოცნა იმ გამშვენებული, თავდამავიწყებელის გრძნობით, რომლის გადმოცემაც სიტყვით არ შეიძლება.

ქალები, რომლებშიაც მზალვეს და იმის მეგობარს ჯაჯალას იცნობდით, მივიდნენ ხესთან, ცოტა ხანს შესდგნენ.

— აი, ზედ ამ ალაგზედ, დაიწყო მზალვემ, ზედ ამ ალაგზედ პირველად გაახარა ჩემი გული მათიას სიტყვებმა. პირველად გავიგე სიმართლით მლგუჯას ანბავი.

ამ სიტყვებმა მათიას დანასავით გაუარეს და მწარედ დასერეს იმისი გული; მაგრამ ჩქარა დამორჩილდა ბედს.

— იქნება გატყუებს მათია, ცხვისგან მოგზავნილი არ იყოს! გააფრთხილა ჯაჯალამ.

— მატყუებს?.. რაისათვის მომატყუებს?.. არა, ის ეგეთი კაცია, რომ ვინც ერთხელ ნახავს, მაშინათვე მიენდობა... არა, იმან და-ძმობა მითხრა და მე მწამს იმის სიტყვა.

— არც მოტყუვდები, ღომისის მადლმა! წამოიძახა მათიამ, რომელმაც სიამოვნებით გაიგონა საყვარელი ქალისაგან ეგეთი ნდობა.

— შენ მე მენდობი და სიცოცხლედ რომ დამიჯდეს, ვერ მოგატყუებ, ვერ გიღალატებ.

ამ სიტყვების შემდეგ, ის წყნარა, ჩუმად მივიდა ქალებთან და წყნარად უთხრა:

— სალამო მშვიდობისა!

ქალებს ისე შეეშინდათ, რომ გაქცევაც-კი დააპირეს, მაგრამ რა მზალვემ თვალი შეჰკრა მათიას და იცნო, სიხარულით გექანა. ჯაჯალა მოშორდა იმათ.

— მათიავ, მათიავ! შენაცვალოს ჩემი თავი! უთხრა მზალვემ და მოავლო ხელი.

ცხენს გზავნის ქუთაისში. გასაკვირველი ეს არის, რომ მღვდლის ცოლიც დაიჭირება ამ მატყუარა მარჩიელთან. მეგონა მამასახლისი განდევნიდა მკითხავს, მაგრამ ეს მამასახლისი ყურსაც არ იბერტყს.

„მთხოვთ ბატონო რედაქტორო, დაბეჭდოთ ეს ამბავი თქვენს გაზეთში იქნება მთავრობამ მიაქციოს ყურადღება და დაიცვას ხალხი ამ მცარცვავ დედაკაცისაგან.“

* * *

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ ამ თვის 12-ს ერთს იქაურ მცხოვრებს აზნ. ალექსანდრე ქვარიანს მოუკლავს ხანჯლით ამ ქალაქისვე მცხოვრ. ფრანგი ალექსანდრე ქაჩუხოვი მეარგანე რომელთანაც, სლაბოდკაში ქეიფის შემდეგ, ჩხუბი მოსვლია ფულის მიცემის თაობაზედ. დამნაშავე დაუჭირავთ.

* * *

დღეს, პარასკევს, საღამოს შვიდს საათზე სააზნაურო ბანკის სადგომში (სოლოლაკი, ირაკლის სახლი) დანიშნულია სხდომა „ვეფხის ტყაოსნის“ რედაქციისა.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია.

**ქართლიდამ, 6 ოქტომბერს.** წარსულს თვის სეკტემბრის 23-ს თქვენი „დროების“ № 198-ში წავიკითხე შენიშვნა სოფელ ქარელში მცხოვრებ ახლად გამოჩენილ ექვსის ყმაწვილის კაცის ციციშვილების მოქმედებაზედ. უნდა მეც გულზედ ხელი დავიდვა და სიმართლით მოგახსენოთ, რომ ყოველივე იმ შენიშვნაში მოხსენებული ამბავი და გარემოება, როგორც არის აღწერილი „დროებაში“ არის ნამდვილი.

მაგრამ იმ „ქართლელს“ ერთის მისვლით ქარელში კიდევ ვერ გაუგია იმ ექვსი ყმაწვილის კაცის უმეტესი საზიზღარი მოქმედება, რომელიც მე დიდი ხანია ვიცი ნამდვილად, როგორც იმათ მხლებელის რაოდენიმე ხნის წინად. აი მოგახსენოდ:

პირველი, ეს ექვსი პირნი ციციშვილები არამც თუ იკლებენ და არჩევენ თავიანთ ძმებს, ბიძა-შვილებსა და სახლის კაცობასა, ამათ ჰყავსთ კიდევ სხვა შაიკა ზაფხულისა მთაზედ ზოგიერთს თავიანთი ნაყმევი თათრები და დანაშთენთ ფულით შესყიდულნი: და ზამთრობით ოსები და იმერლები, რომელნიც იკლებენ ამ მხარეს ქურდობით ცხენისა და რქიანის საქონლის, რომელსაც ზაფხულში ერეკებიან პირ-იქით და ზამთრით ოსეთისა და იმერეთისაკენ. გარდა ამისა ამ გამზადებულს შაიკას ხმარობენ ეს ბატონები თავიანთ ძმებსა, ბიძაშვილებსა და სახლის-კაცებზედ, აი როგორ: ეს შაიკა ამათ ჰყავთ გამზადებული უმეტეს იმისთვის, რომ, უკეთუ ციციშვილი ვინმე გაბედავს თავიანთ წილ-კერძის მოთხოვნასა მთის შემოსავლიდგან, ანუ საჩივარსა ამათზედ სუდში თუ ადმინისტრაციაში, ვიდრე მიუვიდოდეთ ამათ უწყება, შენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც ეგენი იმ მოჩივარს პირს დღეს დააყენებენ: ან სცემენ ისრე, რომ იქნება რომ ველარც კი იცოცხლოს, ან დააჭრევინებენ, ან მოუკიდებენ ცეცხლსა და დედა ბუდიანად გადააბუგვინებენ, და ან გააქურდინებენ ისრე, რომ აღარას შეარჩენენ.

ამისათვის არიან გაჩუმებულები საცოდავი დანაშთენი ციციშვილები და მოკლებულნი თავიანთ ძვირფასის მთის შემოსავალსა ძველის მამა-პაპურის წესითა. ძლიან ეს დაჩაგრული პირები, იქნება ღმერთმა მოგვხედოს ან გაზეთებში ჩაწერით ანუ სხვა ნაირის ღონის-ძიებით მიახწიოს მთავრობის ყურადღებამ და ისინი დაგვეშველოს რამესო, მაგრამ სად არისო? ზემოხსენებულ შენიშვნის დროს ერთმა ციციშვილმა სთქვა თურმე:

ვაი შენს მტერსა ჩვენ არა გვეშველოს-რაო! აგვისტოს ოთხსა ამ წელში ერთმა დ. ც. კი არ გაცარცვა შუადღის დროს ერთი ქარელელი ურია, მაგრამ არა გამოვიდა-რა და როდესაც იმ ყმაწყილმა კაცმა წაიკითხა „დროებაში“ იმაზედ დაწერილი თავისი მოქმედება და ავაზაკობა იმავე დღესვე გაუგზავნა კაცი იმ ურიას და შეუთვალა: — შენ რომ ჩაგიწერია გაზეთში ის ჩემი მოქმედება, დამაცადე და რაც შენ საქმეს დაგმართებ, ერთ ღამეს შეიტყობო! ამაზედ შენს მტერს დღე დაადგეს, რაც იმ ურიას დღე ადგა! იმ დღეს აქეთ მოელის ყოველ წამს უბედურებასა იმ ვაჟბატონისაგან; მაგრამ ადმინისტრაციამ ყურიც არ შეიბერტყა თუმცა ყველაფერი იცის!“

ეხლა სოფლებში: იქ ხომ აღარც სამართალი არის, აღარც პურის მაღაზიები და აღარც სოფლის სკოლები. მამასახლისები გარდაიქცნენ მიკიტნებათ და ყასბებათ, როდესაც გლეხს ანუ მემამულეს საქმე აქვს სოფლის კანცელარიაში. ისინი პირდაპირ გარბიან დუქნისაკენ, რომ მამასახლისი იქნება დუქანში. მართლაც ნახავთ, რომ მამასახლისი დუქანში ჯაჭვ-ჩამოგდებული, ფეშტემალ შემოკრული დაზგას შიგნით დგას. მოჩივარი სალამს მისცემს და მოახსენებს თავის საჩივარს. ის მოუსმენს და უბრძანებს მაშინათვე სუდიებსა, რომელნიც აგრეთვე იქვე დგანან დუქანში, გაარჩიეთ ამ კაცის საჩივარიო. ისინი იქვე დუქანში დასხდებიან და გაურჩევენ. თუ მოჩივარმა კარგი სამართალიც მიიღო, მაშან ხომ მიიწვევს სუდიებსა, მამასახლისსა, კარგა-[illegible]ზად უმასპინძლებს, დაუთვლის მამასახლისს დუქნის ნახარჯსა და გაუდგება თავის გზასა.

რაიცა შეეხება მომრიგებელ შუამავლებსა (მიროვოი პოსრედნიკებსა), ერთ დღეს რომ მთელი ქართლის ნაბატონრევ-ნაყმევებმა აიკლონ ერთმანერთი, არც-ერთი ყურადღებას არ მიაქცევს. გლეხი თუ იჩივლებს, ის ისტუმრებს სასამართლოში, ჩემი საქმე არ არისო.

პოლიციამ ხომ დაიხვია ხელზედ, შემდგომ ახალის რეფორმისა, რომ რაკი ჩვენ ყოველივე ძალა ჩამოგვერთვა, თუმცა ბევრი ავაზაკებიც დავიჭირეთ, სასამართლო და გამომძიებელი მეორეს დღესვე ანთავისუფლებენო და ჩვენვე ეს ავაზაკები მასხარად გვიგდებენო, ამისათვის თავს რაღათ შევიწუხებთო! ადმინისტრაციაც ამითი იხდის ბოდიშსა...

ამ ადმინისტრაციის შესახებ ერთი

---

მათიაც კანკალებდა და მღელვარება ნებას არ აძლევდა, ხმა ამოეღო. პირველსავე ხელის მოკიდებაზედ იმას ევონა ცეცხლის მოხვედრა ხელში, რომელიც განუწყვეტლად რაღაცა ძალით გადადიოდა მათიას ხელებში, უვლიდა გულში, თავში, მთელს სხეულში, თავბრუსა ხვევდა და შეჰყავდა ბურანში. გონება და აზროვნობა ღალატობდა... იმან მოხვია მკლავები, მიიკრა გულზედ ქალი და გამხმარებული რამდენჯერმე აკოცა. მზალევე შეშინებული გამოუსხლტა მათიას ხელიდგან და გაჩერდა იქვე.

— რას ჩადი, არ გრცხვენიან! უყვედრებით უთხრა იმან. შენ მე და-ძმობა მითხარ, მე შენ გენდე და...

— ჰო, ჰო, მე შენ და-ძმობა გითხარ, წარმოსთქვა მათიამ, რომელიც გონეს მოვიდა. და თუ გიღალატო, სადაც არ მოველოდე, ღმერთმა იქ მომკითხოს.

ქალი დამშვიდდა, დარწმუნდა, რომ ეს გატაცება ძმური გრძნობა იყო; კაცმა-კი იფიქრა, რომ ამ გვარი ბედნიერების ღირსი არ ყოფილა და ღმერთს სხვის სასიხარულოთ გაუჩენია მზალევე.

— მე დღეს არ მოგელოდი, უთხრა მზალევემ.

— დღეს მოვიდა კაცი, ელგუჯას ამბავი მომიტანა, მეც ველარ მოვითმინე დღესვე წამოველ.

— მერე, რაი ამბავი მოგივიდა?

— ელგუჯა კარგათ არის... მოკითხვა შემოუთვლია შენთვის. რაი უჭირს ბედნიერს?.. სამარის პირს რომ ყოფილიყო და შენი სახელი გაეგონა, გამობრუნდებოდა.

— დამირჩა შენი თავი, მათიავ, რომ შემატყობინე იმის ამბავი.

— ჩქარა ადგებაო.

— მაშ სულ კარგად იქნება, ზეზე ადგება?

— ადგება, ადგება, მაგის ფიქრი ნუ გაქვს.

— მოუკვდა ჩემი თავი! იქნება მომვლელიც არავინა ჰყავს!

— რატომ არა ჰყავს, დობილებს გაიჩენდა.

— დობილებს? ჰკითხა მზალევემ და ეჭვმა გაურბინა გულში.

— რად გაგიკვირდა? ჰკითხა მათიამ და ჭმუნვით დაუწყო ყურება.

— არა, მე არ გამკვირებია... შერცხვა მზალევეს. — მაგრამ რა ვიცი რიგზედ მოუვლის ვინმე.

— მაშ მე რომ დაჭრილი ვიყო, შენ არ მომივლიდი? ჰკითხა მათიამ და დაღონებული დაუწყო ყურება.

— მე არ მოგივლიდი? მე დღესვე მზათ ვიყავი, თავი გადამედო შენთვის. თუ შენ გაჭირებიდგან დაგიხსნიდი, ერთს წამს არ დავფიქრდებოდი, სიცოცხლეს შეგწირავდი.

— ვიცი... შენ მართალს ამბობ.

— მართალს ეგრემც შემეწევა ღმერთი.

— შენ კეთილი გულისა ხარ, შენ ყველა გაჭირებულს ავრე მოექცეოდი! წარმოსთქვა ოხვრით მათიამ, რომელსაც უნდოდა, რომ მზალევეს იმისთვის სხვა გრძნობა ჰქონოდა და არა მარტო უბრალო კაცთ-მოყვარეობა.

ამ სიტყვების შემდეგ რამოდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც დაარღვია ჯაჯალას მოსვლამ.

— წავიდეთ ჩქარა, შინა გვკითხულობენ, უთხრა იმან მზალევეს.

— აი ეს მათიაი არის, ჩემი ძმად ნაფიცი.

ჯაჯალამ თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა.

— ღვთის მადლმა, ეგრე მიამა შენი ნახვა, როგორც მზის ამოსვლა, წყნარის თავის დაკვრით უთხრა ჯაჯალამ.

— შენი ნახვა მეც გამიხარდა, ლომისის მადლმა, იყო პასუხი.

— ჩემი დობილის ძმობილი, ჩემიც ძმობილია. ცხო, რასა იქ, თავით, ჯალაბობით, საქონლით...

— დამირჩა შენი თავი.

— რაი ამბავი მოგვიტანე ელგუჯასი?

— მშვიდობა, მშვიდობა.

— ხვალ კიდევ მოხვალ? ჰკითხა მზალევემ.

— თუნდ სულ აღარ წავალ ამ ტყიდგან, არა, ლომისის მადლმა.

— მაი მათიაის, ხვალ ამ დროს გამოდი იქა, ჩოხას მოგცემთ, და კვირას წადი ელგუჯასთან, ის ჩოხაც წაუღე და შენ თითონაცა ნახე.

— აგრე.

— შენ უფრო დაწვრილებით ამბავს შეგვატყობინებ. შენ თითონაც ხომ გინდა ელგუჯას ნახვა?

— ჰაი, ჰაი რომ მინდა!

— წავიდეთ, წავიდეთ. ისევ გააწყვეტინა ჯაჯალამ, თორემ თქვენ ხვალომდინაც ვერ გაათავებთ ელგუჯაზედ ლაპარაკს და შინ-კი გვეძახიან.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი გამოესალმენ ერთმანეთს და დასდვეს პირობა მეორე დღეს ისევ იმ ალაგს შეყრილიყვნენ.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ახირებული ამბავი უნდა მოგახსენოთ:

ჩვენი მხრის ხალხი ნამდვილად დარწმუნებული არის, რომ მაზრის უფროსობა და პოსრედნიკობა, უწინდელის გუბერნატორის ორლოვსკის შუამდგომლობით, საშვილიშვილოდ ნაბოძარი არის ხელმწიფისაგან ერისთვიან გვარისათვისო და მოელიან კიდეცა, რომ შემდგომ ეხლანდელის მაზრის უფროსისა, როდესაც ის მიიღებს ღენერლობასა, ამის ალაგას დაინიშნება პოსრედნიკათ ივანე ერისთავი და ამ ივანეს ალაგას შვილი ახლანდელ უფროსისაო!..

გ. ნუცუბიძე.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ო რ შ ა ბ ა თ ს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

## განცხადებანი

ბბ. გ. იოსელიანისა და რ. რეცოლდის პანსიონში და სასწავლებელში იღებენ ყმაწვილებს პირობით ყოველ საშუალ სას წავლებლებში მოსამზადებლად.

მიხაილოვის ქუჩა, ტურგენბეგოვის სახლებში. № 81

(5—3)

---

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი — ჩაის ყველგან

— — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—53)

---

## ექიმი რეიხი

თვალის ტკივილის ავათმყოფობისა, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში არ იღებდა ავათმყოფებს, ხელახლად იწყებს ექიმობას.

მიიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდამ 10-მდის მუდამ დღე.

ადრესსი ადრინდელი; არსენალის ქუჩა. სახლი № 17.

სამკურნალოში ღარიბებს უფასოდ მიიღებს. (5—5

---

ქ: გორში მომრიგებელ სასამართლოის პირ-და-პირ გახსენ ზეთით მომზადებული ყოველნაირი წამლების სამხატვრო საღებავთა მაღაზია, ვუიდი გირვანქობითაც თბილისის ფასებზედ 20% ნაკლებ მუიდველთ მეუძლიათ სოფლებიდამაც მომმართონ უტყუვრად გაეგზავნებათ ყოველ-გვარი საღებავი (კრასკა)

(10—3) ივანე ს. ბაბალოვი

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამო- მშვენი



მაკ-მას- ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—62)

---

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის სავიდი, გოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისსახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—23)

---

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სასწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—2)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

---

## ისყიდება

ბექანთუბანში კარგი ოცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანით.

მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10—11)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე ისყიდება:** [illegible] 40 კაპ. დაწყებული; [illegible] 10 კაპ—დამ; პაპიროსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—29)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო[...]კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას გიარები. (100—39)

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.**

(100—60)

---

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 16 სეკტემბრიდამ 3 ოკტომბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:
პირველის ხარისხის—1 გირ. —
მეორის „ —1 გირ. 4 კ.
მესამის „ —1 გირ. $3\frac{1}{2}$

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველის ხარისხის—1 გირ. $5\frac{1}{2}$
მეორის „ —1 გირ. $4\frac{1}{2}$

ჯვარის-მამის პური:
პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7 კ.
მეორის „ „ —1 გირ. $5\frac{1}{2}$
მესამის „ „ —1 გირ. 5 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის —1 გირ. 9 კ.
მეორის „ —1 გირ. 7 კ.
სუკი — — —1 გირ. 15 კ.
ცხვრის ხორცი —1 გირ. 9 კ.

ღორის ხორცი:
პირველი ხარისხის —1 გირ. 14 კ.
მეორის „ —1 გირ. 12 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი